პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

საქართველოს სსრ შიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ივნისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 122 (9533) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

70 ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს

1917 | 87 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

ერთიანი ბურთი

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

ნახევარფინალური

საქართველო (ნაკრები) — „დინამო“ (სსრ კავშირის ნაკრები) — 6:5 (1:0, 2:2, 2:1, 1:2).

მსაჯები: — ვ. ხრომოვი (ხარკოვი), ა. კოსტანიანი (ერევანი).

საქართველოს ნორჩ წყალბურთელთა ნაკრები საერთო აღიარებით ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს, გუნდში ლიდერებიც არიან, მაგრამ, ასაკი და გამოუცდელობა მაინც თავის კვალს ამჩნევს მატჩებს. არასტაბილური თამაშისა და ზედმეტი ემოციების გამოვლენის გამო, ჩვენი გუნდის ფიცენტრში ბურთს ჩვენები დაეუფლნენ, სწრაფი და სახიფათო შეტევა განხორციელდა მეტოქის კართან. ზვიად დავთიანმა მახვილგონივრული კომბინაცია გოლით დააგვირგვინა. ამ გოლმა სტიმული მისცა ბიჭებს, ისინი დაცვაშიც კარგად თამაშობდნენ, მეკარე გაბრიელ პოსოხოვმა კი რამდენიმე ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია. მეორე პერიოდის პირველსავე წუთზე კვლავ დავითიანმა აიღო მეტოქის კარი — 2:0. ორი წუთის შემდეგ ბარ პატარიძე მაინც ახერხებს თავისიანების ერთ-ერთი კონტრშეტევა კარის აღებით დაამთავროს — 5:2. აქ ვიქტორ კრუტიკმა უმალვე გაიტანა საპასუხო ბურთი.

ბოლო პერიოდში ჩვენს გუნდს აშკარად ეტყობოდა დაღლილობა, მეტოქემ ამით კარგად ისარგებლა და შიპიცინმა ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე დაიყვანა. ჩვენი გუნდი კვლავ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მით უფრო, „დინამოს“ ფრე ხელს აძლევდა, ჩვენებს კი, ვიმეორებთ, მხოლოდ მოგება. ამ კრიტიკულ სიტუაციაში კვლავ გამოიჩინა თავი გუნდის კაპიტანმა დავითიანმა. მაშინ, როცა თამაშის დამთავრებამდე წუთნახევარი რჩებოდა, დავითიანმა ექვსამდე გაზარდა ანგარიში. მეტოქემ ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლო — 6:5. ასე დამთავრდა ეს დაძაბული შეხვედრა.

ჩვენმა გუნდმა თავის ჯგუფში ხუთი ქულით მეორე ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იქნება პირველ ჯგუფში გამარჯვებული სამხრეთის ზონის (სსრ კავშირის განათლების სამინისტრო) ნაკრები. ეს მატჩი დღეს გაიმართება. დასაწყისი 17 საათზე.



ქართველოსა და „დინამოს“ (სსრ კავშირის ნაკრები) გუნდების შეხვედრის მომენტი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

სხვა შეხვედრები:

რსფსრ — საბჭოთა არმია — 8:9 (1:2, 3:3, 2:2, 2:2); „შრომითი რეზერვები“ — პროფკავშირები-I — 9:14 (2:3, 2:4, 2:3, 3:4); უკრაინა — პროფკავშირები-II — 2:7 (0:2, 1:2, 0:2, 1:1).

გათამაშების ცხრილი

(წინასწარი შეხვედრების შემდეგ)

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სამხრეთი ზონა	4	2	2	0	43-34	6
რსფსრ	4	2	1	1	32-25	5
პროფკავშირები-I	4	2	1	1	39-34	5
საბჭ. არმია	4	2	0	2	44-36	4
„შრ. რეზერვები“	4	0	0	4	21-50	0

„ბ“ ჯგუფი

პროფკავშირ.-II	4	3	1	0	32-21	7
საქართველო	4	2	1	1	22-21	5
„დინამო“	4	2	0	2	30-23	4
უკრაინა	4	1	0	3	22-27	2
დასავლეთი ზონა	4	1	0	3	21-35	2

მსოფლიო ჩემპიონი ლიდერთა შორის

ესპანეთის ქალაქ ბილბაოში ...ბოლო დროს მოჰადრაკე ვაჟთა ტურნირში მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვთან, დიდოსტატებს — ანდრეი სოკოლოვთან, ულფ ანდერსონთან (შვეცია) და ლიუბომირ ლიუბოევიჩთან (იუგოსლავია) ერთად მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრ ჩიბურდანიძე და უნგრელი დიდოსტატი ქალი ჟუჟა პოლგარი მონაწილეობენ. ასპარეზობაში მონაწილეობენ. ასპარეზობაში მონაწილეობენ მასპინძლებიც — ალბერტი ფერნანდესი, ფრანსისკო ...ია, ფელიქს ჩავარი აზეტა და ...ესკასი.

...ბოლო დასანანია, რომ ჩვენ ხელთ არა გვაქვს წილისყრისა და პირველი ...ი დღის შედეგები. მომდევნო ... ტურში ასეთი შედეგები აღ...ნიშნა: **IV ტური** — კარპოვი-ლიუბოევიჩი — 0,5:0,5, ილესკასი-პოლგარი — 1:0, ჩიბურდანიძე-ზეტა — 1:0, ანდერსონი-ოჩოა — 1:0, სოკოლოვი-ფერნანდესი — 0,5:0,5; **V ტური:** კარპოვი-ფერნანდესი — 1:0, სოკოლოვი-ზეტა — 1:0, ჩიბურდანიძე-ანდერსონი — 0,5:0,5, ილესკასი-ლიუბოევიჩი — 0:1, პოლგარი-ოჩოა — 0,5:0,5. **VI ტურში** ერთმანეთის პირისპირ დადგნენ პოლგარი და ჩიბურდანიძე. თეთრებით მოთამაშე პოლგარმა ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. მსოფლიო ჩემპიონმა მიიღო ეს წინადადება. კარპოვმა გადადო თავისი პარტია. ამრიგად, 6 ტურის შემდეგ კარპოვს 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ჩიბურდანიძეს — 3,5. პოლგარმა ჯერჯერობით მხოლოდ 2,5 ქულა მოაგროვა.

27 ივნისს

გაწვევთ ტურისტულ ბილიკებზე. მარშრუტი: ბაგები-კუს ტბა-მთაწმინდა. შეკრება 10 საათზე ბაგებში კუს ტბისკენ მიმავალი გზის დასაწყისთან.

მატჩის შემდეგ



ექსპერესკომენტარი. ვლადიმერ ისელიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის უოფილი წევრი: საქართველოს ნაკრებს მეტი პოტენციური შესაძლებლობები აქვს, ვიდრე იყენებს. არ იგრძნობა კოლექტიური თამაში, რაც ყველაზე მთავარია. საჭიროა თამაშში სწრაფი გადანაცვლება და ადგილის ზუსტად შერჩევა. ამავე დროს ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშემ პარტნიორი ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანოს. ჩვენი ბიჭები დაცვაში ხშირად აძლევენ ცენტრალურ თავდამსხმელს კარის დალაშქვრის შესაძლებლობას. ისიც შევნიშნე, გუნდში ერთი-ორი ბიჭი თამაშობს, დანარჩენები კი მხოლოდ მუშაობენ, ვიმეორებ, ყველამ უნდა ითამაშოს ურთიერთშეთანხმებით, კოლექტიურად. რატომ ღაც, როცა ერთ მოთამაშეს გაექცევა მეტოქე, სხვა არ ცდილობს მას გზა გადაუღობოს. და კიდევ, ბიჭებს თამაშში მეტ ფანტაზიას ვუსურვებდი.

28 ივნისს

...ბილისის ზღვის ტერიტორიაზე ...ტარდება დიდ სამამულო ომში ...ალუპულ გმირთა ხსოვნისადმი მი...ძღვნილი მახობრივი ღონისძიებები ...ძლეოსნურ კროსში (მსურველებმა

...უნდა იქონიონ პასპორტი და სამედიცინო ცნობა). პროგრამაშია კროსები სხვადასხვა დისტანციაზე. სტარტი და ფინიში ცენტრალური ...ალაუის სკვერში. დასაწყისი 11 საათზე.

რესპუბლიკის 1987 წლის ჩემპიონები

საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა (მიმოხვლით) დიდი ინტერესი გამოიწვია. სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის უნივერსიტეტის გუნდს, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

იხ. მე-4 გვ.

ინფორმაცია

საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთი უველაზე წარმომადგენლობითი იქნება 1987 წლის მსოფლიო სტუდენტურ თამაშობებზე იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში — 370 სპორტსმენი. ისინი წარმოადგენენ ქვეყნის პრაქტიკულად ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 80 ქალაქის 110 უმაღლეს სასწავლებელს. საბჭოთა სტუდენტი სპორტსმენები უნივერსიადის მთელს პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას.

შაბათს, 27 ივნისს, საბჭოთა ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით თბილისში რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს სპორტსახალკომი და კომკავშირის საქალაქო კომიტეტი აწყობენ ერთდროულ სეანსს ჭადრაკში 500 დაფაზე.
მოუვარულები შეხვდებიან ოსტატებს და დიდოსტატებს.
დასაწყისი 19 საათზე.



თავაშვებულნი...

რეისი 152-ე, კრასნოიარსკი — მოსკოვი, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივად იწყებოდა. თუმცა, მთლად ჩვეულებრივადაც არა. ბორტგამცილებელთა ბრიგადირი ნატაშა აზარენოკი კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტში სესიების დამთავრების შემდეგ სამსახურში ახალი დაბრუნებული იყო, ჩინებულ გუნებაზე გახლდათ. მგზავრებს თვითმფრინავის შესასვლელთან ხვდებოდა, გულითადად უღიმოდა. აბ, გამოჩნდა, ტანადი, მხარბეჭიანი ბიჭების კარგა მოზრდილი ჯგუფი. სპორტსმენები იქნებიანო, მაშინვე გაიფიქრა ნატაშამ.

ისინი ნამდვილი ბატონ-პატრონებივით შედიოდნენ თვითმფრინავში, მხიარულად, თამამად, სახეზე პუბლიკის რჩეულთათვის ჩვეული ღიმილი დაჰფენოდათ. მგზავრები დაღლილები იყვნენ. ეგ კი არა, უხალისობაც ეტყობოდათ. რეისი მოსკოვის დროით 4 საათსა და 50 წუთზეა დანიშნული. კრასნოიარსკის დროით ეს 8 საათი და 50 წუთია, მაგრამ მაინც — ქალაქიდან აეროპორტამდე კარგა დიდი მანძილია, თითქმის საათის სავალი. თან რეგისტრაციისთვისაც ერთი საათით ადრე უნდა მიხვიდე. ერთი სიტყვით, ნალხი გამოუძინებელი იყო; თვითმფრინავში დავისვენებთო, ალბათ ფიქრობდნენ. ახალგაზრდების კომპანია კი ისე თამამად იქცეოდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად.

სულ მალე გაირკვა, რომ „ლოკომოტივის“ რეგბისტთა ჯგუნდს (თბილისი) წინადღით შეხვედრა წაეგო. მაგრამ სპორტსმენები ამის გამო დიდად შეწუხებულნი არ ჩანდნენ. წაგეს — რა მოხდა მერე... ხმაურობდნენ, ყაყანებდნენ, ერთმანეთს თვალს უკრავდნენ. ემოციურები ჩანდნენ. თუმცა, შეიძლება, ზედმეტად აგზნებულებიც. დიდი გაჭირვებით დასხეს ისინი პირველ სალონში.

სხვათა შორის, ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია მოთხრობილი ამბისა. შემდეგში ჩვენი სიუჟეტის „პერსონაჟები“ სწორედ იმით იმართლებდნენ თავს, რომ აეროპორტი თითქოს დამნაშავე იყო მათს წინაშე; რომ ისინი კუთვნილ, კანონიერ, ბილეთებზე აღნიშნულ ადგილებზე კი არ დასხეს, არამედ როგორც მოხვდებოდა, ისე მოათავსეს. წარმოიდგინეთ, მწვრთნელმა სწორედ ასე დაწერა: თვითმფრინავში რომ ავედით, ჩვენს ადგილებზე არ დავმსხდარვართ, რადგან იქ უკვე სხვა მგზავრები ისხდნენო. ეს არ არის მართალი. ისინი თითქმის პირველნი შევიდნენ თვითმფრინავში და ადგილებიც მაშინვე თვითონვე აირჩიეს. თუმცა ამას, კაცმა რომ თქვას, არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაშ ასე, ახალგაზრდები დიდი გაჭირვებით დასხეს ადგილებზე. მერე კი...

„შეიბნიეთ დაცავი სარტყელი“ — აინთო წარწერა ტაბლოზე. რისთვის არის ეს საჭირო? ისევ ჩვენთვის, ჩვენი უსაფრთხოებისთვის ზრუნავს აეროფლოტი. ზოგი მართლა ასრულებს ამ მოთხოვნას, ზოგი თავს აჩვენებს, ვითომ შეასრულა. მაგრამ ნატაშა აზარენოკს უნდოდა, სჭირდებოდა, რომ ყველას შეესრულებინა. ჩამოუარა პირველ სალონს, მგზავრები გააფრთხილა. ისინი ისევ ლაზღანდარობდნენ, მოდი, ერთი ნახე, მშვენიერო, მართლა შევიკარი თუ არაო...

აქ უკვე დრაა მკითხველს ვაუწყოთ, რომ ამ მონათხრობში საქმაოდ უსიამოვნო დეტალები იჩენს თავს. მაგრამ რას იზამ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა ვუწოდოთ.

ერთი სიტყვით, დასხდნენ, ადგილებზე განაწილდნენ. ფეხები ზოგმა გასასვლელში დააწყო, ზოგმა—სავარძლის სახელურზე, ზოგმა — სხვა სავარძლების საზურგეებზე. ტაბლოზე წარწერა ჯერ კიდევ ენთო, როცა ამ „არტელის“ ყველაზე მოუთმენელი წევრები თვითმფრინავის სამზარეულოსკენ გაემართნენ. სხვათა შორის, მგზავრებს დროზე ადრე ადგომის უფლება არა აქვთ. სამზარეულოში შესვლისა — მით უფრო. გვწყურიაო, განაცხადეს.

ამგვარად, რეგბისტებმა ფეხები სკამებს შორის, გასასვლელში გამოაწყვეს. ნატაშა ფრთხილად გადადის და გადმოდის ამ ფეხებზე და ლანგარით მინერალური წყალი დაიქვს. აი, ერთ-ერთმა მას ფეხში წაავლო ხელი. რას იზამ, ლანგარს ხელს ხომ ვერ გაუშვებ? — „შეწყვიტეთ ახლავე ეს უმსგავსობა,—მკაცრად უთხრა ნატაშამ ახალგაზრდას. სალონში შეხმატკბილებული ხმამაღალი ხარხარი გაისმა და მაშინვე რამდენიმე ხელი სწვდა ქალის ფეხებს. რა ქნას, სილა გააწნას? მერე ამ ლანგარს რა უყოს? თან არც შეიძლება, რაც უნდა იყოს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას....“ „ერთს — კიდევ გაბედავ და...“ — მრისხანედ წარმოთქვა ნატაშამ. თან ცდილობდა რაც შეიძლება დელიკატური სიტყვები მოეძებნა.

მაგრამ, სამუშაო თავისას მოითხოვს. და ნატაშა აზარენოკიც რამდენჯერმე შევიდა პირველ სალონში. ამ რეისის დროს მგზავრებს ცხელი საკვებიც ეკუთვნით; უბრალო მოკვდავებზეც ხომ უნდა იფიქრო გარდა გმირი რეგბისტებისა. ამ გონებამახვილ ყმაწვილებში კი ვიღაცამ კიდევ ერთი გასართობი მოიგონა: რეზინი ამოიღო და — როგორ ვთქვა უფრო დელიკატურად — სროლა დაიწყო. შემდეგ ნატაშამ დაწერა — ზურგში მესროდნენო. თქმისა რცხვენოდა...

...მომიტევეთ. განა ეს ყველაფერი სასაძაგლე არ არის? მახსოვს, პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ჩემი დაუძინებელი მტერი არკამკა ეზოში გამოვარდა და მოულოდნელად გასაპნული ხელები მომისვა სახეზე. რამდენი წელიწადია მას შემდეგ, მე კი ის ამბავი დღესაც არ შემიძლია დავივიწყო. არადა, ეს ხომ სისულელეა იმასთან შედარებით, რაც ნატაშა აზარენოკმა გადაიტანა!

„დავუყვირებდი და, — ყვებოდა ნატაშა თითქმის შშვიდად, — ისინიც ცოტა ჩაწყნარდებოდნენ. მერე კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა“. მთელი ეკიპაჟი, მფრინავები, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცები, გულს ასკდებოდნენ ამ ამბავს რომ ისმენდნენ. „მერე ერთ-ერთი მოვიდა, როცა ისევ ლანგარი მეჭირა ხელში; აიღო მამაკაცის შლაპა და ძალით ჩამომაფხატა თავზე. სხვები კი სიცილით იხოცებოდნენ“. კარგი ხუმრობაა, არა?

მწვრთნელი? მწვრთნელი სად იყო ამ დროს, რას უყურებდა? ან იქნებ სპორტსმენები, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, უმეთვალყურეოდ დარჩნენ? არა, მწვრთნელი იქ იყო. ნატაშამ იმ მხიარულ ყმაწვილ კაცთაგან ერთ-ერთს ჰკითხა კიდეც, თქვენი მწვრთნელი რომელიაო. „აი, ის არის“. „მაპატიეთ, მწვრთნელი თქვენა ხართ?“ „არა, მე არა. აი ის არის“ „მაპატიეთ...“ კარგი თამაში გამოვიდა: „ეძებე მწვრთნელი“.

მაგრამ ნატაშამ ესეც აიტანა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მწვრთნელიც მოიძებნა —თამაზ ილიას ძე მგელაძე, „მერე სად გიწერიათ ეგ წესი, რომ შლაპის დახურვა არ შეიძლება? — დაფიქრებით იკითხა მწვრთნელმა. — მაჩვენეთ ერთი ეგ წესი! საერთოდაც, რა მოხდა ისეთი — გეხუმრებიან, თამაშობენ, ახალგაზრდები არიან...“

ანბანურ შეჭმარიტებათა გამეორება არ მინდა, მაგრამ არც გაჩუმება შემიძლია. ვინ არის მწვრთნელი? ცხოვრების მასწავლებელი. ცხოვრების, და არა მარტო ილეთების, ფინტების, ტაქტიკური სქემების სწავლების სპეციალისტი. რა ასწავლა თავის შეგირდებს ამ პეიდაგოგმა?

აქ ისევ პაუზა უნდა გავაკეთო. ცოდვა გამხელილი ჯობია და, ისიც ხდება, რომ ქალიშვილი როგორღაც თვითონვე იწვევს მის მიმართ არცთუ ღირსეულ საქციელს. ნატაშამ, რაკი ფიქრობდა, რომ ვიღაცის ფანტაზიამ შეიძლება ამგვარი რამაც წარმოიდგინოს, მკაცრად თქვა, რომ არავისთვის არ მიუცია უღირსი მოქცევის არავითარი საბაბი. ნეტავ ერთი დაგანახვათ ეს გამხდარი, ქერა, ბალახის ღერივით სუსტი გოგო... როგორც თვითონ თქვა, იმ ბიჭებს იგი წელამდეც ძლივს მისწვდებოდა... ახლა რეგბისტები წარმოიდგინეთ — ნამდვილი გოლიათები, ჯან-ღონით სავსენი, „ყინაღი ბიჭები“... არადა, ჩვენ ხომ ყველას გვგონია, რომ ღონიერი კაცი უთუოდ კეთილიც უნდა იყოს.

უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მისი მოთმინების ფიალა აავსო, ეს იყო: ნატაშამ კიდევ ერთხელ მისცა შენიშვნა ერთ-ერთ „ოხუნჯს“, მან კი რაღაც არაადამიანურად დამანჯა სახე და სიცილი დააყარა. ხეპრულად, აუტანელი თავხედობით. მაშინ ნატაშამ ეკიპაჟის მეთაურს, პირველი კლასის პილოტს ნიკოლაი ვასილის ძე ვასილიევს მიმართა. მაგრამ ამ დროს მას არ შეეძლო კაბინის დატოვება და სალონში გამოსვლა — თვითმფრინავი დასაშვებად ემზადებოდა.

„დომოდედოვოს“ აეროპორტში რადიოთი გამოაცხადეს, რომ თვითმფრინავში ხულიგნები არიან და აუცილებელია მილიციელთა გამოძახება. მწვრთნელმა, როცა ეს გაიგო, მაშინვე უთხრა: „ჩვენც შეგვიძლია დავწეროთ, როგორ მუშაობდით“, სინდისდაკარგული ადამიანისთვის ეს საერთოდ ყველაზე სასაკვარელი ხერხია: თქვენ მე მიჩივით, „მე თქვენ გიჩივლეთ. ვნახოთ ერთი, ვის დაუჯერებენ. თქვენ იკითხეთ, თორემ...

აქ კიდევ აი, რა არის მეტად მნიშვნელოვანი: ეს ამბავი დედამიწიდან რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე ხდებოდა. ბორტგამცილებლები ოფიციანტები არ არიან (მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა ამ საკმაოდ რთული პროფესიის მიმართ). ისინი სწორედ რომ ბორტგამცილებლები არიან, მოვალენი და მუდამ მზად მყოფნი, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაგვიფარონ ხიფათისაგან. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევაც ხომ ბევრი გვახსოვს. თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამბავს.

მილიციის თანამშრომელი 35 წუთის შემდეგ გამოცხადდა. იგი, მილიციის კაპიტანი ვ. გუროვი, არაფრით არ ამცირებდა სურვილს, რომ ამ საქმისთვის კანონიერი ელფერი მიეცა. სხვათა შორის, უკვე შემდეგ, მოგვიანებით, ოპერრწმუნებული ვ. კოტოვი ცდილობდა საქმე ისე მოეწყო, რომ ამ სტრიქონების ავტორი, რომელმაც სარედაქციო მოწმობა წარადგინა, სადაური დოკუმენტებიც ვერ გასტანობოდა. კანცელარიაში ჩაიტანა. სხვა დროს, მოდი, ორშაბათს... შემდეგ, გულ მოსულმა — აგერ, ჩვენი უფროსი, მილიციის მაიორი ივან ივანეს ძე რუკაბერი. იქნებ ის დაგეხმაროთო. რუკაბერი დაგვეხმარა. რა სამხედრო საიდუმლოება ეს იყო — ოქმები ერთი თავხედობის, პიროვნების შეურაცხყოფის შესახებ. რატომ არ უნდა ენახა ისინი ქურნალისტს? მაშინ კოტოვს არ შერცხვა. იქნებ ახლა მაინც შერცხვეს? დოკუმენტები ხომ ჩაკეტილი არ იყო, რომელიღაც წიგნში ჩაწყოთ.

რისთვის გიამბობთ ყოველივე ამას ასე დაწვრილებით და მხოლოდ ზოგიერთ, მართლაც ყოველად აუტანელ ფაქტს ვტოვებ? მხოლოდ იმისთვის, რომ ნატაშა აზარენოკი დავიცვა, თუმცა მარტო ესეც, ცხადია, საკმარისი იქნებოდა? არა, მე სხვა მიზანიც მამოქმედებს. მინდა ნატაშამ, მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა იცოდნენ, რომ ყველა სპორტსმენი ასეთი არ არის, ხოლო ეს შენიშვნები ბოდიშის მოხდაა თბილისელი რეგბისტების საქციელისთვის.

ნ. ᲕᲘᲣᲜᲘᲐᲙᲝᲕᲘ.

• • •

ერთი არცთუ უმნიშვნელო დეტალი: „დომოდედოვოს“ აეროპორტში მფრინავ ა. ვასილიევს ეკიპაჟი თანაქალაქელ კოლეგებს შეხვდა. ამ უკანასკნელთა ბორტგამცილებელსაც ძალიან კარგად ახსოვდა თბილისელ რეგბისტთა გუნდი. ისინი თურმე მოსკოვიდან კრასნოიარსკამდე ფრენის დროსაც ყოველად უმსგავსად იქცეოდნენ.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲠᲝᲜᲘᲙᲐᲠᲘ“, 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 წ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ: არ შეიძლება ეს წერილი ბოლომდე ჩაიკითხო და თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნო. შეურაცხყოფილად — თანამემამულეთა ულირსი და ყოვლად უზნეო საქციელის გამო.

დღეს, როცა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ვიბრძვით საერთო კლიმატის გაჯანსაღებისთვის, როცა თავადვე თამამად ვამხელთ საკუთარ ნაკლოვანებებს და განსაკუთრებით მომთხოვნი გავხდით ერთმანეთის მიმართ, აჭა-იქ კვლავ გვხვდებიან ისეთები, არაფრად რომ არ დაგიდევენ რესპუბლიკისა და ხალხის ღირსებას, ავტორიტეტს, სამარცხვინო ქცევით, ქედმალლობით გვიტეხენ სახელს ყველას თვალში. რაოდენ საწყენია, რომ ასეთთა შორის აღმოჩნდნენ სპორტსმენები, ისინი, ვინც ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებებისა და ხასიათის ერთ-ერთი უპირველესი გამომხატველნი უნდა იყვნენ.

თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტებმა მთელ რესპუბლიკას, მთელს ჩვენს საზოგადოებას, მთელ ქართულ სპორტს ხაჭვეენოდ მოსცხეს ჩირქი. ბუნებრივია, ასეთ დროს იბადება კითხვა: ვინ არიან ეს ახალგაზრდები, რატომ ჰგონიათ, რომ უფლება აქვთ უტიფრად დაარღვიონ საზოგადოებრივი წესრიგი, პატივი არ სცენ ირგვლივ მყოფთ? საიდან მოდის ასეთი სულმდაბლობა, უკიდურესი პროვინციალიზმი?

არის დანაშაული, რომლის პატიება, არ შეიძლება, რომელსაც ვერავითარ გამართლებას — ვერც მორალურს, ვერც იურიდიულს — ვერ მოუძებნი. დიახ, რეგბისტების ხაქციელი დანაშაულია, ისეთი დანაშაული, რესპუბლიკის თითოეულ მცხოვრებში გულისწყრომას რომ იწვევს და სულში ჭრილობას ტოვებს.

ჩვენი ხალხი უსაზღვროდ დიდ პატივს სცემს სპორტსმენს, აფასებს მის ღვაწლს, მაგრამ დიდი სიყვარული, როგორც ხალხში ამბობენ, დიდ სიძულვილში გადადის, თუ ვინმე რესპუბლიკის ავტორიტეტს არ უფრთხილდება.

სპორტი აღზრდის, ზნეობის სკოლაა. ამ ახალგაზრდებისთვის, როგორც ჩანს, იგი ვერ იქცა ასეთ სკოლად და ამაში შეუძლებელია აღმზრდელებიც არ იყვნენ დამნაშავენი.

• ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲦᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐ •

სირცხვილს სად დავეძალოთ?

„ყველა სპორტსმენი ასეთი როდია. ეს წერილი იმიტომ დაიწერა, რომ თბილისელ რეგბისტთა მაგვარად მოგიხადოთ ბოდიში“— ბორტგამცილებელ ნატაშა აზარენოკს, მის მეგობრებსა და კოლეგებს სწერს ს. ვიშნიაკოვი. დიახ, ყველა ქართველი სპორტსმენი როდი იქცევა ასე, მაგრამ დღეს ყველა ქართველს სირცხვილის გრძნობა აწუხებს. რატომ? იმიტომ, რომ გვიღალატეთ ლოკომოტიველო რეგბისტებო, მოძმეთა ღალატზე მძიმე და მოულოდნელი კი რა შეიძლება იყოს? გვიჭირს იმის დაჯერება, რაზეც გაზეთშია ლაპარაკი, რასაც წერილის ავტორი გვიმტკიცებს. ყველაფერი როდი შიმიხსენებია თქვენთვისო, გვარწმუნებს იგი. რას იფიქრებდნენ ჯერ სალონში მჯდარი მგზავრები, მერე „სოვეტსკი სპორტის“ მკითხველები. არადა, როგორ გმობდით წელს. რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ ხომ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ვარჯიშისა და დასვენების საუკეთესო პირობები გქონოდათ, გადმოგცეს დიდი ხნის ნანატრი ბაზა, ვფიქრობდით, გვასახელებდით, ასახელებდით ჩვენს ქალაქს, რესპუბლიკას. თქვენ კი... ავიასალონის მესპინძეკ გოგონას ოცზე მეტმა ქართველმა ჭაბუკმა დასცინეთ და შავი დღე აყარეთ, ჩირქი მოსცხეთ ქართველი სპორტსმენის, კაცის სახელს, სახელი გაუტეხეთ მთელს რესპუბლიკას. სირცხვილს სად დავეძალოთ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მართლაც თავაშვებულნი

გული მატკინა „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნებულმა წერილმა სათაურით „თავაშვებულნი“, მატკინა უფრო იმიტომ, რომ ჩემი უმცროსი კოლეგები არიან მისი „გმირები“.

კარგად ვიცი, რა ენერგიის ხარჯვას მოითხოვს ყოველი შეჯიბრება. მომქანცველია იგი თუ ტურებად ტარდება და სპორტსმენს გუთავებელი მოგზაურობა უხდება. იმ დროს, როცა, როგორც იტყვიან, ნერვები დაწყვეტაზე გაქვს, მალამოსავით გედება სილაღე და ხუმრობა, მაგრამ თუ იგი ლაზღანდარობაში გადაიზარდა, ირგვლივ მყოფნი ღიზიანდებიან და შეურაცხყოფილნი რჩებიან. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სპორტსმენთა უადგილო „ხუმრობამ“ ადამიანები შეურაცხყო. ახლა რეგბისტებს გაუჭირდებათ იმის მტკიცება, რომ სტიუარდესას შეურაცხყოფა არ ჰქონდათ განზრახული. დიახ, დაუფიქრებელი საქციელით ზოგჯერ მართო საკუთარ თავს კი არ ვვნებთ, არამედ თანამემამულეთა ღირსებასაც ვამცირებთ და ჩრდილს ვაყენებთ.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲒᲝᲩᲘᲔᲚᲘ,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ექსრეკორდსმენი.

ჩვენც ხომ ბევრჯერ შევსწრებივართ

კარგა ხანია ასე არაფერს ავუღლევებივართ. ჩემი და ჩემი ახლობლების, კოლეგების აღფოთებასა და გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ნუთუ ეს მართალია, ნუთუ ოცდაათამდე ქართველმა ვაჟკაცმა ასე ერთად გაიწყვიტა შუბლის ძარღვი და დაკარგა ღირსების გრძნობა? გაზოგიტყდებით, მიჭირს ამის დაჯერება, მაგრამ სად წაუხვალ „სოვეტსკი სპორტში“ დაბეჭდილ წერილს, რომელიც მილიონობით ადამიანმა წაიკითხა. თუმცა თავს ნუ მოვიტყუებთ და ვაღიაროთ: რამდენჯერ შევსწრებივართ უხამსად ეოლაპარაკე ჩვენს თანამემამულეს, ვითომდა უდარდელობით რომ იწონებს თავს, ვისი „ენამოსწრებულობაც“ ზღვარს სცილდება და ჩვეულებრივ უხამსობად იქცევა ხოლმე. მათი ქომაგნი ყველაფერ ამას სამხრეთული ტემპერამენტს აბრალებენ, მაგრამ როდის იყო ქართველი კაცურ საქციელში შეღავათს ითხოვდა. ამიტომ მოდით და ყველა ერთად დავფიქრდეთ იმაზე, რაც მოხდა, გავკიცხოთ ისინი, ვინც ასე არაღირსეულად მოიქცა, ვინც ასე დაამცირა ქართველი სპორტსმენის სახელი.

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲔᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ვეტერანი რკინიგზელი.

ნუთუ ფიქრობენ, ყველაფერი ეპატიებათ?

შინიდან გასული კაცი, იმაზე უნდა ფიქრობდეს, უცხოზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინოს. ჩვენს სპორტსმენებს კი, ამდენ ვაჟკაცებს, სტიუარდესა ყველას დასანახად სასაკილოდ აუგდიათ და გაუმასხარავებიათ. განა ასეთი საქციელი შეეფერება ახალგაზრდებს? იქნებ ჩვენს სპორტსმენებს ჰგონიათ, რომ რაკი მათ ხალხი იცნობს, გულშემატკივრობს და პატივს სცემს, მათთვის ყველაფერი დასაშვებია? ნუთუ ფიქრობენ, ყველაფერს ვაპატიებთ?

ასეთი უხეშობისათვის მიზეზიც რომ ყოფილიყო, სპორტსმენს უფლება არ ჰქონდა უხეშად მოპყრობოდა ქალს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲝᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ჟურნალისტი.

სსრ კავშირის პირველობა

22 და 23 ივნისს გამართული XV ტურის მატჩებით დამთავრდა სსრ კავშირის 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრე, მაგრამ ეს საშუალედო ფინიში, არსებითად, ფორმალურია, ვინაიდან უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდს ჯერ კიდევ აქვს ჩასატარებელი განვლილი წრის მატჩები, კერძოდ, კიევის დინამოელებმა რამდენიმე შეხვედრა გამოტოვეს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0 (0:0)

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 22 ივნისი.

„დინამო“: პრუდნიკოვი, ლოსევი, პოზდნიაკოვი, ნოვიკოვი, ხილკინი, დობროვოლსკი, მოროზოვი, ვასილიევი (სტუკაშოვი, 87), კოლივანოვი, კარატაევი (ბულანოვი, 59), ბოროდიუკი.

„გურია“: იმნაძე, დანელია, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი (გოგიჩაიშვილი, 65), კოპალეიშვილი, ტუტუხიკა (აკოფიანი, 51), მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, მ. თევზაძე.

მსაჯი ვ. კუზნეცოვი (ომსკი). გაფრთხილეს ხლუსი.

დუბლიორები — 2:1. ლანჩხუთელთაგან ბურთი გაიტანა გოგიჩაიშვილმა.

მოსკოვის „დინამოც“ და ლანჩხუთის „გურიაც“ წლევანდელი ჩემპიონატის პირველი ტურის მიწურულს მეტად რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერს მოსკოვის „დინამოს“ ამ რამდენიმე წლის წინათ მძიმე კრიზისი დაუდგა, გუნდმა შარშან, თითქოს შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების მოწვევის შედეგად საკავშირო ჩემპიონატში სპატიო II ადგილი დაიკავა, მაგრამ წლეულს მდგომარეობა კვლავ მკვეთრად გაუარესდა, მოსკოვის ეს განთქმული გუნდი ახლა ისევ უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხის წინაშე იმყოფება.

სატურნირო ცხრილის ბოლოშია ლანჩხუთის „გურია“. მართალია, ამ გუნდს მხარდაჭერა და სიმპათიები არ აკლია არც შინ, არც მეტოქეთა გუნდების სტადიონებზე, ვერც ვერავინ იტყვის, რომ „გურია“ ბევრით ჩამორჩება უმაღლესი ლიგის რამდენიმე გუნდს, მაგრამ მას ახლა ჰაერივით ესაჭიროება ქულები, ამ ქულების აღების რეალობის წინაშე იდგა იგი სწორედ ამ მატჩში და, ეჭვსგარეშეა, მეკარე იმნაძის შეცდომა რომ არა, ლანჩხუთელები, სულ ცოტა, ერთ ქულას მაინც აიღებდნენ მეტოქის სტადიონზე. საქმე ისაა, რომ „გურიამ“ არა მარტო ღირსეული მეტოქეობა გაუწია მოსკოვის „დინამოს“, არამედ მთელ რიგ ეპიზოდებში წარმატების მიღწევაც შეეძლო. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ნაღდი საგოლე მომენტები დაკარგეს ხლუსმა, მეგრელაძემ, ფრიდონაშვილმა, შესვენების შემდეგ — აკოფიანმა, კვლავ ფრიდონაშვილმა, მეგრელაძემ. მაგრამ ყველა ეს შესაძლებლობა უშედეგოდ დამთავრდა, გამარჯვება კი დინამოელებს დარჩათ. ეს ასე მოხდა: მიმდინარეობდა მატჩის 68-ე წუთი, „გურიის“ კართან შორიდან მოაწოდეს ბურთი, იმნაძემ ვერ შეძლო მისი აღება, კარიდან სულ რამდენიმე მეტრის მანძილზე დაუგდო იგი მინდორზე ახლად გამოსულ სტუკაშოვს, მასაც მეტი აღარაფერი დარჩენოდა იოლი გოლი გაეტანა.

ეს იყო ფრიად დასანანი, დაუმსახურებელი მარცხი. თამაშის დასასრულს ლანჩხუთელი ფეხბურთელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ საპასუხო ბურთის გატანა არა და არ მოხერხდა.

ავთანდილ ურმოცაძე.
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

• • •

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

21 და 22 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრები, გთავაზობთ მათს ტექნიკურ შედეგებს.

„ქაირათი“ — „ტორპედო“ 0:0.
დუბლიორები — 3:0.

„ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ 5:2 (3:0). გოლები: მაცკევიჩუსი, ბარანაუსკასი, ივანაუსკასი, ნარბეკოვასი, სუკრისტოვი („ჟალგირისი“), ჩერენკოვი, პასულკო („სპარტაკი“).
დუბლიორები — 0:0.

„დნეპრი“ — „ნეფთჩი“ — 1:0 (0:0). გოლი 56-ე წუთზე გაიტანა ლიტოვჩენკომ.

გააფრთხილეს „ნეფთჩის“ ფეხბურთელები ჟოდკოვი, ბელიაღოვი და ალაპჰვერდიევი.
დუბლიორები — 1:0.

„შახტიორი“ — „არარატი“ 2:1 (2:0). გოლები: იურჩენკო, დრაგუნოვი („შახტიორი“). პოღოსიანი („არარატი“).
დუბლიორები — 3:1.

„ზენიტი“ — „მეტალისტი“ 1:2 (0:2). ორივე ბურთი მალიშენკომ გაიტანა, ხოლო ზენიტელთაგან — ჩუხლოვმა.
გააფრთხილეს ლენინგრადელი ფეხბურთელები ჩუხლოვი და მატვეევი.
დუბლიორები — 2:2.

● **გამოჩენილი** საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის 100-იანთა კლუბს სულ მალე ახალი შევსება მოელის. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელმა ფ. ჩერენკოვმა „ჟალგირისთან“ მატჩში თავისი 98-ე ბურთი გაიტანა. სპარტაკელს სულ 2 გოლი აკლია კლუბში მოსახვედრად.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა ლიდერია ვილნიუსელი ფეხბურთელი ა. ნარბეკოვასი, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა. 7-7 გოლია ო. პროტასოვისა („დნეპრი“) და ფ. ჩერენკოვის („სპარტაკი“) ანგარიშზე.

● **მიმდინარე** საიუბილეო ჩემპიონატში ყველაზე მეტი გამარჯვება აქვთ მოპოვებული „სპარტაკს“, „დნეპრს“ და „არარატს“ — 7-7, ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს სპარტაკელებმა — 23, შემდეგ — „ჟალგირისმა“ — 20. ყველაზე მეტი მატჩი ფრედ დამთავრა მოსკოვის „ტორპედომ“ — 7, 6-6 თამაში აქვთ ფრედ დამთავრებული „სპარტაკს“ და „შახტიორს“.

● **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრმა“ მიმდინარე ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

● **ბაზეთი** „იზვესტია“ 24 ივნისის ნომერში იუწყება, რომ კიევის დინამოელებმა სსრ კავშირის თასის მოპოვების შემდეგ საკუთარ თავს მცირეოდენი დასვენების უფლება მისცეს და მოკლე ვადიან შვებულებაში გაემგზავრნენ სამხრეთისკენ, კიეველებს კი, მოგეხსენებათ, პირველი წრის რამდენიმე კალენდარული შეხვედრა აქვთ გამოტოვებული.

● **ცსკა-სა** და თბილისის „დინამოს“ შეხვედრაში გაფრთხილეს დინამოელი სულაქველიძე. ამ გუნდების საბადარიგო შემადგენლობათა შეხვედრაში (2:2) თბილისელთაგან ორივე ბურთი ცაავამ გაიტანა.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის მატჩები, გთავაზობთ მათს ტექნიკურ შედეგებს:

I ჯგუფი

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი). გოლები: ქობალია, შამათავა („ამირანი“).

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 1:2. მსაჯი მ. კობაიშვილი (თბილისი). გოლები: ორმოცაძე, ვერულაშვილი („სულორი“), გეგეშიძე (ახ. საფეხბურ. სკ.).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი). გოლი: ქვილითაია („სამეგრელო“).

გააფრთხილეს ჩხოროწყუელი ფეხბურთელები ზ. ქავთარაძე და კ. ქარჩავა. პირველმა ხელით დაიჭირა მეტოქე ფეხბურთელი, მეორემ კი მსაჯის სასტვენის შემდეგ განზრახ გადააგდო ბურთი.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილეს, აგრეთვე, ზუგდიდელი ფეხბურთელი ა. ჯიქია.

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0. მსაჯი რ. ფარცვანია (ზუგდიდი).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:0. მსაჯი თ. ლაცაბაძე (თბილისი). გოლები: კუდუხოვი, გაბიძაშვილი, ჯაგოვი, დოლიძე („მადნეული“).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილეს ზესტაფონელი ჭ. ხვედელიძე, მისმა თანაგუნდელმა ზ. ბოგვერაძემ კი ყვითელი ბარათი დაიმსახურა განზრახ ხელით თამაშისთვის.

„სჭური“ (წალენჯიხა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:0. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილეს წალენჯიხელი კ. მატუა.

„ქართული“ (ურბნისი) — „სალხინო“ (გუდაუთა) 2:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე). გოლები: ელკანოვი, წკრიალაშვილი, ახალკაცი („ქართული“).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილეს „სალხინოს“ ფეხბურთელი გ. ჭუბაბრია.

„კოლხეთი“ (ხობი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „კახეთი“ (თელავი) 2:1. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი). გოლები: ხანთაძე-2 („იმერეთი“), ჯაშიაშვილი („კახეთი“).

„ივერია“ (საჩური) — „ხაპოვნელა“ (თერჯოლა) 1:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამეგრ.“	19	11	7	1	34-13	29
„კოლხეთი“	19	12	3	4	31-15	27
„შადრევანი“	19	12	3	4	29-15	27
„მერცხალი“	19	10	7	2	25-13	27
„სჭური“	19	10	5	4	31-16	25
„სულორი“	19	9	6	4	19-16	24
ფიზკ. ინსტ.	19	9	5	5	29-19	23
„სალხინო“	19	7	8	4	24-24	22
„ამირანი“	19	9	3	6	23-23	21
„დინამო“ გ.	19	6	8	5	21-22	20
„მეტალურ.“	19	8	3	8	24-21	19
„სპარტაკი“	19	7	5	7	28-27	19
„ეგრისი“	19	6	7	6	25-24	19
„საპოვნ.“	18	7	3	8	21-30	17
„დინამო“ ზ.	18	6	5	7	21-16	17
„ქართლი“	19	6	3	10	25-27	15
„იმ.-დინ.“-2	14	5	5	4	21-17	15
„მადნეული“	18	5	6	7	25-20	14
„იმერეთი“	19	5	4	10	24-40	14
„კახეთი“	18	5	3	10	28-33	13
„დურუჯი“	19	3	6	10	13-25	12
„არმაზი“	18	3	4	11	13-30	10
„ივერია“	19	2	3	14	12-32	7
ახ. საფ. სკ.	19	3	0	16	16-44	6

თასის ტრადიციული გათამაშება

II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში პირველი წრის შემდეგ შესვენებაა, ამ პერიოდში მოეწყობა საკავშირო პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა თასის ტრადიციული გათამაშება. ეს შეჯიბრება, როგორც ყოველთვის, ეტაპობრივად იმართება: პირველ ეტაპზე მეტოქეები წრიული სისტემით ორორჯერ ხვდებიან ერთმანეთს შინ და სტუმრად, მეორე ეტაპზე შეჯიბრება სათასო სისტემით მიმდინარეობს.

პროფკავშირების თასის შეჯიბრებები 30 ივნისს იწყება, ზონის 16 გუნდი 4 ქვეჯგუფადაა დაყოფილი:

„ა“ ქვეჯგუფი: „კოლხეთი“ (ფოთი), „დინამო“ (სოხუმი), „მეშახტე“ (ტყიბული), „ლოკომოტივი“ (სამტრედია).

„ბ“ ქვეჯგუფი: „ოლიმპია“ (ლენინაკანი), „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი), „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი), „ლორი“ (კიროვაკანი).

„ვ“ ქვეჯგუფი: „დილა“ (გორი), „მეტალურგი“ (რუსთავი), „შევარდენი“-სპი (თბილისი), „ქიაფაზი“ (კიროვაბადი).

„ბ“ ქვეჯგუფი: „კოლხოზჩი“ (აშხაბადი), „ვოსხოდი“ (სუმგაითი), „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური), „ბოიაზანი“ (ყაზახი).

გთავაზობთ საქართველოს გუნდების I ეტაპის შეხვედრათა განრიგს.

პირველი წრე
30 ივნისი, I ტური

„კოლხეთი“ — „მეშახტე“, „დინამო“ ს. — „ლოკომოტივი“ ს., „დილა“ — „შევარდენი“-სპი, „მეტალურგი“ — „ქიაფაზი“.

3 ივლისი, II ტური

„კოლხეთი“ — „დინამო“ ს., „ლოკომოტივი“ ს. — „მეშახტე“, „ქიაფაზი“ — „შევარდენი“-სპი „დილა“ — „მეტალურგი“.

7 ივლისი, III ტური

„მეშახტე“ — „დინამო“ ს., „ლოკომოტივი“ ს. — „კოლხეთი“, „შევარდენი“-სპი — „მეტალურგი“, „ქიაფაზი“ — „დილა“.

მეორე წრე
10 ივლისი, IV ტური

„დინამო“ ს. — „კოლხეთი“, „მეშახტე“ — „ლოკომოტივი“ ს., „მეტალურგი“ — „დილა“, „შევარდენი“-სპი — „ქიაფაზი“.

14 ივლისი, V ტური

„ლოკომოტივი“ ს. — „დინამო“ ს., „მეშახტე“ — „კოლხეთი“, „ქიაფაზი“ — „მეტალურგი“, „შევარდენი“-სპი — „დილა“.

17 ივლისი, VI ტური

„კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“ ს., „დინამო“ ს. — „მეშახტე“, „დილა“ — „ქიაფაზი“, „მეტალურგი“ — „შევარდენი“სპი.

მერვედფინალური მატჩები შედგება 22 ივლისს, მეოთხედფინალები — 28 ივლისს, ხოლო ნახევარფინალური მატჩები და ფინალი სეზონის დასასრულს გაიმართება საკავშირო პირველობის დამთავრების შემდეგ.

თასის მეორე ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიეცემათ გუნდებს, რომლებიც წინასწარ ქვეჯგუფებში დაიკავებენ I-III ადგილებს, გათამაშება გაგრძელდება შემდეგი წესით: ქვეჯგუფებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები უშუალოდ მეოთხედფინალში გადიან, მეორე და მესამე ადგილების მფლობელნი კი ბრძოლას განაგრძობენ მერვედფინალში („ა“ ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასული „ბ“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს, „ბ“ ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი მიიღებს „ა“ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულს. ასევე ეწესით ითამაშებენ მომდევნო ქვეჯგუფებში მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები).

ფინალური მატჩი გაიმართება ნეიტრალურ მინდორზე.

გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 25 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	7	6	2	23-15	20 (—10)
2. „ტორპედო“ (მოსკოვი)	15	6	7	2	14-7	19 (—11)
3. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	15	7	4	4	18-9	18 (—12)
4. „შახტიორი“ (დონეცკი)	15	6	6	3	15-11	18 (—12)
5. „დინამო“ (მინსკი)	14	6	5	3	14-7	17 (—11)
6. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	15	6	4	5	20-17	16 (—14)
7. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	15	6	4	5	12-12	16 (—14)
8. „არარატი“ (ერევანი)	15	7	1	7	15-20	15 (—15)
9. ცსკა	15	5	4	6	15-17	14 (—16)
10. „დინამო“ (კიევი)	11	5	3	3	19-10	13 (— 9)
11. „ქაირათი“ (ალმა-ათა)	15	5	3	7	10-15	13 (—17)
12. „დინამო“ (მოსკოვი)	15	4	5	6	10-14	13 (—17)
13. „დინამო“ (თბილისი)	15	4	4	7	12-18	12 (—18)
14. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	15	3	5	7	10-21	11 (—19)
15. „ნეფთჩი“ (ბაქო)	15	3	4	8	12-18	10 (—20)
16 „გურია“ (ლანჩხუთი)	14	2	5	7	7-15	9 (—19)

დუბლიორთა შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	15	11	1	3	40-16	23
„დნეპრი“	15	9	3	3	25-12	21
„ქაირათი“	15	7	4	4	25-20	18
„შახტიორი“	14	6	6	2	15-8	18
„ჟალგირისი“	14	4	9	1	12-9	17
„დინამო“ კ.	11	7	2	2	25-12	16
ცსკა	15	7	2	6	22-25	16
„ნეფთჩი“	14	5	5	4	11-19	15
„დინამო“ მნ.	14	5	4	5	21-16	14
„ზენიტი“	15	4	5	6	21-30	13
„ტორპედო“	15	2	7	6	8-14	11
„დინამო“ მ.	12	4	2	6	12-13	10
„გურია“	14	4	2	8	13-21	10
„დინამო“ თბ.	14	3	4	7	19-27	10
„მეტალისტი“	15	3	4	8	13-22	10
„არარატი“	14	1	2	11	15-32	4



მსოფლიოს სტადიონებზე

ლოს-ანჯელესი. ამერიკის ამ ქალაქში გაიმართა „ოქროს თასის“ ტურნირი, რომლის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიის „ვასკო და გამა“ და არგენტინის ჩემპიონი „როსარიო სენტრალი“. დაძაბული ბრძოლა ბრაზილიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1. მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ მექსიკის „გვადალახარა“ და იტალიის „რომა“. გაიმარჯვა „გვადალახარამ“ — 4:2.

რიო-დე-ჟანეირო. მკითხველებმა უკვე იციან, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამით ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა აქ ინგლისთან 4:1 დაამარცხა ეკვადორის გუნდი. ბრაზილიელთა ნაკრებში უმთავრესად ის ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიოდნენ, რომლებიც სულ ახლახან მონაწილეობდნენ ევროპაში გამართულ ტურნეში, მაგრამ თავდასხმის ხაზს ამჯერად გამოცდილი კარეკა დაემატა, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მან უნარიანად უხელმძღვანელა ახალგაზრდა პარტნიორებს.

ბრაზილიური პრესის ცნობით მძიმე ტრავმის შემდეგ მწყობრში ჩადგა 34 წლის განთქმული ფეხბურთელი ზიკო. იგი ინტენსიურ წვრთნას შეუდგა და იმედოვნებს, რომ ბრაზილიის ეროვნულ გუნდში მოხვდება 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

ბილანი. აქ გაიმართა „მუნდიალიტოს“ საერთაშორისო ტურნირი ისეთი ცნობილი გუნდების მონაწილეობით, როგორებიც არიან „მილანი“ და „ინტერი“ (იტალია), „პორტო“ (პორტუგალია), „ბარსელონა“ (ესპანეთი) და „სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი).

გათამაშების პირველ დღეს „მილანმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „პორტო“, „ინტერმა“ კი ფრედ ითამაშა „სენ-ჟერმენთან“ — 0:0. ტურნირი 29 ივნისს დამთავრდება, იგი დიდ ინტერესს იწვევს, განვლილ მატჩებს 50-50 ათასი მაყურებელი დაესწრო.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

ჩემპიონი გამოვლინდა, ფურნირი გრძელდება

დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, იმ გუნდებისთვის, რომლებიც I-VI ადგილებისთვის იბრძოდნენ. როგორც ვვარაუდობდით, გათამაშების გვირგვინად სწორედ სუპერფინალური მატჩების სერიები იქცა. შეიძლება ყველა არ დაგვეთანხმოს გადამწყვეტ შეხვედრათა საერთო ხარისხობრივ შეფასებაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: პირველი და მესამე ადგილებისთვის ბრძოლას არც დაძაბულობა აკლდა და არც მაყურებელთა ინტერესი და ემოციები.

გავიხსენოთ თუნდაც უნივერსიტეტისა და „სინათლის“ პირველი ფინალური მატჩი: ტაიმი დამთავრდა ფრედ — 48:48, უძლიერესი ვერც ძირითადმა დრომ გამოავლინა — 79:79 და შეხვედრა საბოლოოდ უნივერსიტეტმა ერთი ქულით მოიგო — 89:88, თანაც დამატებით დროში.

ფინალი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. მერე რა, რომ რამდენიმე დღით ადრე უნივერსიტეტის გუნდმა ეს კოლექტივი 30 ქულით დაამარცხა. იმ შეხვედრას სხვა მნიშვნელობა, სხვა ფასი ჰქონდა, ფინალს — სულ სხვა.

პირველ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშეს ამ კოლექტივების ლიდერებმა ბოროდაჩოვმა (უნივერსიტეტი) და ჯორჯიკიამ („სინათლე“). მათმა მაღალმა საშემსრულებლო ოსტატობამ და უჩვეულო ბრძოლისუნარიანობამ მოხიბლა მაყურებელი. შეხვედრის ბედიც ამ ორი ლიდერის ურთიერთბრძოლამ გადაწყვიტა. ერთქულიანი უპირატესობა უნივერსიტეტის სასარგებლოდ სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ გამარჯვებისთვის ერთმანეთს ტოლი და სწორი მეტოქეები ებრძოდნენ.

მეორე მატჩი ოდნავ განსხვავებულად წარიმართა, თუმცა სიმძაფრე და დრამატიზმი არც მას მოჰკლებია. თავდაპირველად „სინათლე“ დაწინაურდა, მაგრამ მეთხუთმეტე წუთისთვის უნივერსიტეტმა მდგომარეობა გაათანაბრა, ტაიმის მიწურულს კი დაწინაურდა კიდეც (44:39).

შესვენების შემდეგ სტუდენტებმა მკვეთრად უმატეს თამაშის ტემპს და როცა ანგარიშში სხვაობამ 20 ქულას მიაღწია, ყველა დარწმუნდა იმაში, რომ თამაში დამთავრდა. ნაადრევად დარწმუნდნენ ამაში უნივერსიტეტელებიც და სწორედ ეს იყო მათი მოუტევებელი შეცდომა. არადა კალათბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება: ერთი გუნდი თავის უდავო უპირატესობაში დარწმუნებული „ამთავრებს თამაშს“, რაც მის მეტოქეს შეხვედრის გადარჩენის ილუზიას უქმნის და ბრძოლა თავიდან იწყება.

„სინათლე“ მტკიცედ ჩაებღაუჭა შეხვედრის მიწურულში გაჩენილ იმედს და ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღა, მაგრამ სასწაული მაინც არ მოხდა, არადა უნივერსიტეტის დამარცხება ამ შეხვედრაში მართლაც სასწაული იქნებოდა. შეხვედრა დამთავრდა სტუდენტთა გამარჯვებით — 95:87. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა კოლექტივმა საქართველოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

შედარებით მშვიდად და შეიძლება ითქვას, უკონფლიქტოდ ჩატარდა მეორე სუპერფინალური მატჩების სერია. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი ორივე შეხვედრაში მეტოქეზე ძლიერი იყო და ბრძოლის ბედიც ამან გადაწყვიტა. პირველი შეხვედრა ანგარიშით 105:91 (60:49) დამთავრდა, მეორე — 107:87 (55:41).

საბოლოოდ პირველ ექვსეულში ადგილები ასე განაწილდა: 1. უნივერსიტეტი, 2. „სინათლე“, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 4. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 5. „მართვა“ და 6. სოხუმი.

ტურნირის პირველი ნახევარი დამთავრდა, ჩემპიონატი კი გრძელდება. მეორე ექვსეულის წევრები ამ დღეებში ბათუმში განაახლებენ თამაშებს.

სურათზე: ფინალური მატჩის ერთი ფრაგმენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

შემგლდინზე წვიმდა

...ყველაფერი მზად იყო ტურნირის დასაწყებად, მაგრამ ეს უძველესი ასპარეზობა, რომელიც 101-ედ ტარდება, ამინდის ჭირვეულობას ვერ გადაურჩა. მომაბეზრებელმა ბრიტანულმა წვიმამ, რომელიც დილიდან გვიან ღამემდე გაგრძელდა, სპორტსმენებს კორტებზე გამოსვლის საშუალება არ მისცა და 25 ათასი მაყურებელი, როგორც იტყვიან, პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

სხვათა შორის ავდრის გამო წელს პირველად არ გადადებულა ასპარეზობა. სტატისტიკოსთა ცნობით, ტურნირის ისტორიაში ეს 24-ჯერ მოხდა.

და ისევ სტატისტიკა. ყველაზე ხანგრძლივი ფინალური მატჩი ამერიკელ კონორსსა და მის თანამემამულე მაკინროის შორის (1982 წელს) 4 საათსა და 16 წუთს გაგრძელებულა. ვაჟთა ყველაზე ხანმოკლე ფინალი 37-წუთიანი ყოფილა, ქალთა — 25-წუთიანი.

წლევანდელ ქალთა და ვაჟთა ტურნირებში 39 ქვეყნის 256 სპორტსმენი იბრძვის. მათ შორის არიან საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავები: ბ. ბეკერი (გფრ), მ. ნავრატილოვა (აშშ), მსოფლიოს პირველი ჩოგანი ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), გ. ვილანდერი, ს. ედბერგი (შვეცია), ქ. ევერტი (აშშ) და სხვები.

ტურნირში საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას იცავენ ა. ოლხოვსკი, ა. ვოლკოვი, ნ. ზვერევა, ლ. სავჩენკო, ს. პარხომენკო, ნ. ბიკოვა, ნ. მედვედევა. საკვალიფიკაციო ტურნირში წარუმატებელი გამოსვლის გამო ქართველი ჩოგბურთელი ლეილა მესხი პირველობისთვის მებრძოლთა რიგებს გამოეთიშა.

როგორც ითქვა, პრემიერა 24-ედ გადაიდო, მაგრამ აქამდე კორტზე გამოსვლას მოასპარეზენი მხოლოდ ერთი დღით აგვიანებდნენ. ახლა კი შეიქმნა იმის საფრთხე, რომ ისინი მთელი 48 საათით დააგვიანებდნენ, მაგრამ უიმბლდონის თავზე ღრუბელი გადაიყარა და მზემ გამოაჭყიტა.

სენსაცია კორტებზეც არ მომხდარა — ფავორიტებმა იოლად გაიმარჯვეს. ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ბეკერმა სძლია ჩეხოსლოვაკიელ ნოვაჩეკს —6:4, 6:2, 6:4, ლენდლმა — რუმინელ საკაინუს — 6:2, 3:6, 6:3, 7:5. ედბერგმა „მშრალი“ ანგარიშით დაჯაბნა ერიქსონი. არგენტინელმა საბატინიმ მოუგო ამერიკელ გერკენს — 6:3, 6:3. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ჩოგბურთელები. ოლხოვსკი ა. კასტლუსთან (დიდი ბრიტანეთი) დამარცხდა, ბიკოვა—ამერიკელ კ. ბენჯამენთან.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რიგაში

„მშენებელი“ კვლავ დაწინაურდა

სულ ერთი ტური გაძლო კიევის „ავიატორმა“ სატურნირო ცხრილის სათავეში. კიეველები საკავშირო ჩემპიონატის XIV ტურის მატჩში მოსკოვში „სლავას“ შეხვდნენ და დამარცხდნენ — 3:4. ქუთაისის „მშენებელმა“ ლენინგრადში სძლია „პრიმორეცს“ — 12:3 და კვლავ მოწინავე პოზიცია დაიკავა; თბილისის „შევარდენმა“ ზედიზედ 13-ჯერ დამარცხების შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა; უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა მონინოში სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი დამარცხა — 9:4; თბილისის „ლოკომოტივმა“ კრასნოიარსკში წააგო ეტს-თან — 7:16 და სატურნირო ცხრილში ერთბაშად სამი საფეხურით ჩამოქვეითდა. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სლავა“ — ასკ 19:11 (XIII ტურის მატჩი), „ფილი“ — ასკ 9:9, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ელექტრომაში“ 16:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„მშენებელი“	14	11	0	3	36
„ავიატორი“	14	10	1	3	35
სსა (მონინო)	14	8	3	3	33
„ფილი“ (მ.)	14	8	2	4	32
ასკ (ალმა-ათა)	14	7	3	4	31
„სლავა“	14	8	0	6	30
„ლოკომოტივი“ (მ.)	14	7	0	7	28
ეტს (კრასნ.)	14	6	1	7	27
„ლოკომოტ.“ (თბ.)	14	6	1	7	27
„ელექტრ.“ (ტირ.)	14	4	1	9	23
„პრიმორეცი“	14	2	0	12	18
„შევარდენი“	14	1	0	13	16

ახლა ჩემპიონატის მონაწილეთათვის იწყება შესვენება, რომელიც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის ნაკრების ზიმბაბვეში გამგზავრებით. პირველობა 3 ივლისს განახლდება. ამ დღეს „მშენებელი“ ეწვევა ეტს-ს, „ლოკომოტივი“ — „პრიმორეცს“, „შევარდენი“ — „ფილის“.

მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის გათამაშება

პირველი მფლობელი

შაბათს ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში გაიმართა მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების ფინალური მატჩი. მასპინძლებმა — ახალზელანდიელმა რეგბისტებმა დაამარცხეს ფრანგები 29:9 (9:0) და 40 ათასი მაყურებლის თანდასწრებით რეგბის გამომგონებლის, უილიამ უებ ელისის გარდამავალ თასს დაეუფლნენ.

თამაში ახალზელანდიელთა უპირატესობით წარიმართა. ფრანგებმა ვერაფერი მოუხერხეს მასპინძელთა მორკინალებს, განსაკუთრებით მესამე ხაზს — შელფორდს, ვეთონს და ჯოუნზს. პირველ ტაიმში სწორედ ჯოუნზმა გაიტანა ლელო. შესვენების შემდეგ ახალზელანდიელებმა — შერკინების ნახევარმცველმა და გუნდის კაპიტანმა ჭორქმა და ფროის სამმეოთხედელმა ქერვინმა — კიდევ თითოჯერ მიაღწიეს მიზანს. გარე ნახევარმცველმა ფოქსმა 4 საჯარიმოს, არეკნისა და რეალიზაციის შედეგებით გუნდს კიდევ 17 ქულა შესძინა. ფრანგებმა მხოლოდ მატჩის ბოლოს გამოიღეს ხელი, როცა 3:29 აგებდნენ.

რეგბისტთა 32 შეხვედრაში, რომელთაგან, მიმომხილველთა აზრით, 25 უმაღლეს დონეზე ჩატარდა, გუნდებმა 224 ლელო გაიტანეს და 1591 ქულა მოაგროვეს; სულ 2 მოთამაშე გააქვეს მოედნიდან, ისიც ბოლო შეხვედრებში. ტურნირის წმანდა მოგებამ 10 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. ეს თანხა მთლიანად მსოფლიოში სამოყვარულო რეგბის განვითარებას მოხმარდება.

მსოფლიო თასის მეორე გათამაშება 1991 წელს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში ჩატარდება. წინასწარი მონაცემებით, ქვეჯგუფებსა და მეოთხედფინალებს ირლანდია, ინგლისი, უელსი და შოტლანდია უმასპინძლებენ, ნახევარფინალური შეხვედრები პარიზში გაიმართება. ფინალი — ლონდონის გარეუბან თვიქენემში.

ᲛᲬᲘᲜ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲐ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 47-ე ჩემპიონატი.

დასკვნით, XIII ტურში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლიდერების — ლაშა ჯანჯღავასა და მიხეილ კრასენკოვის შეხვედრა, რომელსაც რესპუბლიკის ჩემპიონის ფინალობა უნდა გამოევლინა. ჯანჯღავას ყაიმიც ხელს აძლევდა, მის მეტოქეს კი აუცილებლად უნდა გაემარჯვა. ჯანჯღავამ დებიუტშივე დასწრო მეტოქეს ფიგურების განვითარება და აშკარა უპირატესობა მიიღო, მაგრამ პოზიციური ხასიათის შეცდომები დაუშვა და კრასენკოვს მეფის ფრთაზე კონტრთამაშის მიღების საშუალება მიეცა. ჯანჯღავა იძულებული გახდა თავისი ფიგურები მეფის ფრთაზე გადაეყვანა, მაგრამ ამან ვეღარ უშველა. კრასენკოვმა, მიუხედავად იმისა, რომ ცაიტნოტში იყო, ძლიერი იერიშით პაიკი მოიგო, შემდეგ ლაზიერი გაცვალა და ცენტრში გამსვლელი პაიკი მიიღო. მართალია, ჯანჯღავამ პაიკი დაიბრუნა, მაგრამ მეტოქის გამსვლელი პაიკის შეჩერება ვეღარ შეძლო და თავი დამარცხებულად ცნო.

თამაზ ტაბატაძისა და ბესიკ ხეცურიანის პარტიაში ფრანგული დაცვა გათამაშდა. თეორიებმა დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ხეცურიანი კარგად იცავდა თავს და მას შემდეგ, როცა პოზიცია მთლიანად გათანაბრდა, მეტოქენი დაზავდნენ.

ზურაბ სტურუა და გია გიორგაძე უკვე მე-20 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მანაგაძე-ეფიმოვი —1:0, ტყებუჩავა-გაფრინდაშვილი —1:0, ბალათუროვი-ჩაჩიბაია — 0,5:0,5, გედევანიშვილი-შალამბერიძე — 0,5:0,5.

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო შედეგებს: მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი) — 9,5 ქულა, ლაშა ჯანჯღავა (თბილისი) — 9, ბესიკ ხეცურიანი (ქუთაისი) — 8,5, გია გიორგაძე, თამაზ ტაბატაზე— 7,5-7,5, პაატა გაფრინდაშვილი, ზურაბ სტურუა (ყველა — თბილისი), გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია) — 6,5-6,5, ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), იგორ ეფიმოვი, გია ბალათუროვი — 5,5-5,5, დიმიტრი გედევანიშვილი (ყველა — თბილისი), დავით ჩაჩიბაია (ცხაკაია) — 4,5-4,5, კახა შალამბერიძე (თბილისი) — 4.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონის სახელი მიხეილ კრასენკოვმა მოიპოვა. უნდა ითქვას, რომ იგი მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა ჯგუფში იყო. ლაშა ჯანჯღავა თითქოს ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ... თუმცა, ახალგაზრდა ოსტატისთვის მეორე ადგილიც არ არის ცუდი შედეგი, მით უმეტეს, რომ მან კრასენკოვთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა.



მიხეილ კრასენკოვი.

სასიხარულოა ისიც, რომ ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ბესიკ ხეცურიანმა ოსტატობის ნორმა შეასრულა, მაგრამ ამ წოდების მიღებაში მას მხოლოდ რეიტინგი უშლის ხელს. რეიტინგი ხელს არ უწყობს ცხაკაიელ გოჩა ტყებუჩავასაც, რომელმაც ჯერ კიდევ 1986 წლის დეკემბერში, ერევანში, ამიერკავკასიის პირველობაზე შეასრულა ეს საპატიო წოდება. იმედია, ისინი მოკლე ხანში შეძლებენ თავიანთი კოეფიციენტის ამაღლებას და ოსტატის წოდებასაც მიიღებენ.

საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ უფერულად ითამაშა ტურნირის ფინიშზე — იგი 5 გამარჯვების შემდეგ 4-ჯერ დამარცხდა, თანაც 3-ჯერ ოსტატობის კანდიდატებთან.

ყურადღება მიიქცია პაატა გაფრინდაშვილმა. არასახარბიელო სტარტის შემდეგ (6 შესაძლებლიდან მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა) მან ზედიზედ 4 პარტია მოიგო და XI ტურში ოსტატ დიმიტრი გედევანიშვილთან რომ არ დამარცხებულიყო, ოსტატის ნორმის შესრულებას შეძლებდა.

...დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი. კიდევ ერთხელ ვუსურვებთ და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ მიხეილ კრასენკოვს, ლაშა ჯანჯღავასა და ბესიკ ხეცურიანს.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

„სპორტპროგნოზი“

25-ე ტირაჟის შედეგები

(20-22 ივნისი)

1-1, 2-X, 3-2, 4-X, 5-1, 6-1, 7-2, 8-1, 9-1, 10-1, 11-X, 12-2, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე— შედეგს.

• • •

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 24 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 13-14 ივნისს გაიმართა.

ტირაჟში დაუშვეს 6.851.256 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (5) მოგებამ 10.000 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (134) — 1.533 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისათვის (2.606) — 296 მანეთი.

24 ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 3 ივლისიდან 3 აგვისტომდე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 68435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა „ბჭობა“. 380006, თბილისი, ლენინის ქ. 14. „ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიზარიულის ქ. 29. უე 06975